მეექვსე კლასი
მიმოხილვა, ფინალი

ტესტის ჯამური ქულაა 100. თემატურად იყოფა ორ ნაწილად. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი 30 დავალებისგან.

I ნაწილი – ტექსტის გააზრება. (40 ქულა)

ტესტში წარმოდგენილია ტექსტი ან ნაწყვეტი, რომელიც მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და გააანალიზოს. მას უნდა შეეძლოს ინფორმაციის სწორად აღქმა, დეტალების შემჩნევა, ფაქტების გარჩევა და ტექსტის მთავარი აზრის განსაზღვრა. დავალებები მოითხოვს დაკვირვებას, ლოგიკურ მსჯელობასა და მიზეზ–შედეგობრივი კავშირების ამოცნობას. ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

II სავარჯიშო – ლექსიკა, ფრაზეოლოგია და გრამატიკა. (60 ქულა)

ტესტის მეორე ნაწილი მოიცავს გრამატიკულ და ლექსიკურ დავალებებს. დავალებები ამოწმებს მოსწავლის ცოდნას არსებითი სახელების, ზმნებისა და ნაცვალსახელების შესახებ. ყურადღება გამახვილებულია სულიერი და უსულო საგნების გარჩევაზე, სიტყვების ბრუნვაზე, ზმნების პირსა და რიცხვზე. ასევე, მოსწავლემ უნდა შეძლოს სინონიმების, ფრაზეოლოგიზმებისა და ანდაზების გაგება. მნიშვნელოვანია, მოსწავლემ შეძლოს მართლწერისა და პუნქტუაციის ელემენტარული ნორმების გამოყენება. ტესტში არის ლოგიკური დავალებებიც, რომლებიც ამოწმებს მოსწავლის აზროვნების უნარს, ასევე, თუ როგორ შეუძლია წინადადების გაგება და სიტყვის მნიშნელობის ამოცნობა.

მაგალითი:

რომელია ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელი?

ა) ძმის
ბ) მეგობარი
გ) სახლმა
დ) სკამი

რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?

ა) ექვსი ათას ოცდათერთმეტი
ბ) ექვსიათას ოც დასამი
გ) ექვსი ათას ოზდასამი
დ) ექვს ათას ოზდასამი